კვლევის ძირითადი მიზნები:

- საქართველოს საჯარო დაწესებულებების გამჭვირვალობის ხარისხის ამაღლება;
- ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ხელშეწყობა;
- საქართველოში ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება;
- საქართველოში ელექტრონული მმართველობისა და ელექტრონული გამჭვირვალობის განვითარება.

# საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის ოფიციალური ვებ-გვერდის (www.atipfund.gov.ge) საინფორმაციო გამჭვირვალობისა და ელექტრონული მმართველობის შეფასებითი მონიტორინგი

2011 წლის 03 ოქტომბერი

ყველა უფლება დაცულია

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

ა. მაჭავარიანის ქ. №4, ბინა1. 0179. საქართველო, თბილისი.

Tel: +995322 996364.

www.idfi.ge / www.opendata.ge

info@idfi.ge

ATIPFUND საქართველო

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი

www.atipfund.gov.ge

## გამოვლენილი ძირითადი ხარვეზები და რეკომენდაციები




ინფორმაციის არსებობა ვებ-გვერდზე
წარმოდგენილი ინფორმაციის ხარისხი
1. ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ
28,57%
56,67%
2. საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა
0,00%
0,00%
3. მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ
60,00%
18,33%
4. ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები
42,31%
23,36%
5. სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა
23,81%
35,40%
6. საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას
14,29%
19,50%
7. ს-დ საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები
0,00%
0,00%
8. საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა
0,00%
0,00%
9. საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)
0,00%
0,00%
0,00%
20,00%
40,00%
60,00%
80,00%

**საჯარო სამართლის იურიდიული პირის –ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის ვებ-გვერდზე არ მოიძიება:**

- **ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ**

**1.** ვებ-გვერდზე არ არის მოცემული არანაირი ინფორმაცია ფონდის ხელმძღვანელობის შესახებ, კერძოდ:

- არ მოიძიება ფონდის დირექტორის სახელი და გვარი, ფოტოსურათი, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, კომპეტენციის აღწერა. აგრეთვე, არ მოიძიება დირექტორის არანაირი საკონტაქტო რეკვიზიტი - სამუშაო ელ.ფოსტა, მისაღების (თანაშემწის) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები;

- არ მოიძიება ფონდის დირექტორის მოადგილის სახელი და გვარი, ფოტოსურათი, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, კომპეტენციისა და საკურატორო სფეროს აღწერა. აგრეთვე, არ მოიძიება მოადგილის არანაირი საკონტაქტო რეკვიზიტი - სამუშაო ელ.ფოსტა, მისაღებების (თანაშემწეების) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები.

სასურველია, ვებ-გვერდზე არსებობდეს (ქვე-)განყოფილებები „დირექტორი“ და „მოადგილე“, სადაც განთავსდება დირექტორისა და მოადგილის შესახებ შესაბამისი ინფორმაცია

**2.** არ მოიძიება ვებ-გვერდის ოფიციალურობის დამადასტურებელი წერილობითი აღნიშვნა, ფონდის საფოსტო მისამართი (საფოსტო ინდექსზე მითითება), ფაქსის ნომერი და ფონდის შენობის მდებარეობის აღმნიშვნელი რუკა.

**3.** ვებ-გვერდზე არ მოიძიება ფონდის სრული სარეკვიზიტო ცნობარი (სტრუქტურული ერთეულების სატელეფონო ცნობარი, ელ. ფოსტა და ფაქსის ნომრები), აგრეთვე, ფონდის მიერ ფიზიკური და იურიდიული პირების მიღების და მათთან მუშაობის გრაფიკი.

**4.** ვებ-გვერდზე მოცემულია ფონდის საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, თუმცა სასურველია აქვე მითითებულიც იყოს, რომ მოცემული ნომერი წარმოადგენს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ტელეფონის ნომერს:



**5.** ვებ-გვერდზე არ მოიძიება ფონდის ზემდგომი (მაკონტროლებელი) ორგანოს, კერძოდ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დასახელება და აგრეთვე, მის ოფიციალურ ვებ-გვერდზე გადასასვლელი ბმული:




**6.** ვებ-გვერდზე არ არის მოცემული ფონდის დაფუძნების თარიღიდან მოყოლებული დეტალური საქმიანობის ისტორია, აგრეთვე, არ არსებობს შესაბამისი (ქვე -)განყოფილება. ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში, სათაურად „შესახებ“ ფონდის საქმიანობის ისტორია შემოიფარგლება ერთადერთი წინადადებით:




სასურველია, ვებ-გვერდზე შეიქმნას (ქვე-)განყოფილება სათაურად „ისტორია“, სადაც განთავსდება შესაბამისი ინფორმაცია.

**7.** ვებ-გვერდის ნავიგაციაზე არსებულ განყოფილებაში, სათაურად „საქმიანობა“ აღწერილია ფონდის მიზნები, ფონდის ფუნქციები და საქმიანობის საგანი, სასურველია მოცემულ ინფორმაციას დაემატოს ასევე, ფონდის მოქმედი დებულებით განსაზღვრული ფონდის უფლება-მოვალეობების შესაბამისი აღწერა:



ფონდის საქმიანობა

ფონდის საქმიანობა

თარიღი : 2011 წლის 19 07, სამშაბათი 02:37

დემულებიდან გამომდინარე ფონდი შემდეგ საქმიანობებს ახორციელებს:
ა) ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დახმარება და მათი კანონიერი ინტერესების დაცვა;
ბ) ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა თავმესაფრით, იურიდიული, ფსიქოლოგიური, სამედიცინო და/ან სხვა სახის მომსახურებით უზრუნველყოფა;
გ) ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა რეაბილიტაციის, ოჯახსა და საზოგადოებაში სრული რეინტეგრაციის ხელშეწყობა;
დ) ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთათვის კომპენსაციის გაცემა.
ე) ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარება და მათი კანონიერი ინტერესების დაცვა; (6.01.2009 N 4)
ვ) ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავმესაფრით, იურიდიული, ფსიქოლოგიური, სამედიცინო და/ან სხვა სახის მომსახურებით უზრუნველყოფა; ოჯახსა და საზოგადოებაში სრული რეინტეგრაციის ხელშეწყობა. (6.01.2009 N 4)
მუხლი 3. ფონდის ფუნქციები და საქმიანობის საგანი (6.01.2009 N 4)
ფონდი:
ა) მოიძიებს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა, აგრეთვე ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის დონისძიებების უზრუნველსაყოფად საჭირო ფინანსურ სახსრებს;
ბ) აფინანსებს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის დონისძიებებს;
გ) გასცემს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა იდენტიფიკაციისათვის საჭირო თანხას;
დ) ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა, აგრეთვე ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის მიზნით აქტიურად თანამშრომლობს სამთავრობო, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან;
ე) ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა, აგრეთვე ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის მიზნით შეიმუშავებს და მონაწილეობს ნორმატიული აქტების პროექტების მომზადებაში;
ვ) უზრუნველყოფს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა, აგრეთვე ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა პატივისა და ღირსების, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და უსაფრთხოების სრულ დაცვას;
ზ) უზრუნველყოფს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა პერსონალური მონაცემების სრულ გასაიდუმლოებას;
თ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის ორგანიზაციას, კოორდინაციას, მართვასა და კონტროლს;
ი) ფონდის თანამშრომელთა პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით შეიმუშავებს და ახორციელებს შესაბამის ღონისძიებებს.

- **საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა**

**8.** ვებ-გვერდზე არ მოიძიება ფონდის სტრუქტურის შესახებ არანაირი სახის ინფორმაცია, კერძოდ:

- არ მოიძიება ფონდის სტრუქტურის სქემატური (სისტემის სტრუქტურული ხე) ან ინფორმაციული აღწერა;

- არ მოიძიება სტრუქტურული ერთეულების ჩამონათვალი;

- არ მოიძიება სტრუქტურული ერთეულების კომპეტენციის, ფუნქციების და მიზნების აღწერა;

- არ მოიძიება სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების სახელები და გვარები, ფოტოსურათები, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, კომპეტენციის აღწერა და აგრეთვე მათი საკონტაქტო რეკვიზიტები: სამუშაო ელ.ფოსტები, მისაღების (თანაშემწეების) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები;

- არ მოძიება სტრუქტურული ერთეულების ელექტრონული ფოსტის მისამართები და საკონტაქტო ტელეფონის ნომრები.

ამასთან, ვებ-გვერდზე არ არსებობს შესაბამისი (ქვე-)განყოფილება სათაურად „სტრუქტურა“, სადაც განთავსდებოდა ყველა სახის ზემოთ აღნიშნული ინფორმაცია.

- **მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ**

**9.** ფონდის ვებ-გვერდზე არ არის მოცემული შემდეგი სახის მნიშვნელოვანი მონაცემთა ბაზები: არ არსებობს ვაკანსიათა და ტენდერების არქივი (არ არსებობს შესაბამისი (ქვე-)განყოფილებები), საერთაშორისო და ადმინისტრაციული ხელშეკრულებები, ფონდის საქმიანობის ამსახველი წლიური ანგარიშები, პროგრამები, ფინანსური ხასიათის მაჩვენებლები *და ა.შ.*

ამასთან, არ მუშაობს ვებ-გვერდის ნავიგაციაზე განთავსებული შემდეგი განყოფილებების გვერდების სამართავი პანელები:

- განყოფილება, სათაურად „იურიდიული ბაზა“:




- განყოფილება, სათაურად „საერთაშორისო ამბების კოლაჟი“:




- **ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები**

**10.** ვებ-გვერდზე არ მოიძიება ცნობები ფონდის დირექტორისა და მისი მოადგილის ოფიციალური/სამუშაო ვიზიტების შესახებ, არ მოიძიება აგრეთვე, ფონდის დირექტორის მოადგილის გამოსვლების, განცხადებების, ბრიფინგების ტექსტები. აგრეთვე ცნობები მოადგილის მონაწილეობის შესახებ ამა თუ იმ ღონისძიებაში.

**11.** ვებ-გვერდის განყოფილებაში, სათაურად „სიახლე“ მოყვანილია ფონდის საქმიანობის ამსახველი საინფორმაციო ხასიათის ძალზედ მწირი ცნობები, ამასთან, უკანასკნელი ცნობა თარიღდება 2008 წლით, რაც საშუალებას არ აძლევს მომხმარებელს გაეცნოს ფონდის საქმიანობის შესახებ 2008 წლამდე განხორციელებული საქმიანობის შესახებ საინფორმაციო ხასიათის ცნობებს:



საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციისათვის დადგენილი წესების დარღვევით ცხოვრება

თარიღი 2008 წლის 21 10 საამბაბათი 07:59

**მუხლი 185. საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციისათვის დადგენილი წესების დარღვევით ცხოვრება**

საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციისათვის დადგენილი წესების დარღვევით ცხოვრება, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 5 ლარის ოდენობით.

შენიშვნა: ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდებიან ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლი და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1431 ან/და 1432 მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე დაზარალებულად ცნობილი პირი, თუ აღნიშნული ქმედება მათ ჩაიდინეს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლად ყოფნის გამო ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის სტატუსის მოპოვებამდე.

**12.** ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე-)განყოფილება „წლიური ანგარიშები“, სადაც განთავსდებოდა ფონდის საქმიანობის ყოველწლიური ანგარიში და მიმდინარე კვარტალური მოხსენებები/ანგარიშები.

**13.** სასურველია ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში „პროექტები“, განთავსდეს აგრეთვე, პროექტების შესრულების შესახებ (წლიური) მოხსენებები:



პროექტები

ტრენინგი მასმედიის წარმომადგენლებისათვის

თარიღი : 2011 წლის 11 04, ორშაბათი 04:08

ფონდი აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის გრანტის ფარგლებში ახორციელებს პროექტს "საქართველოს მასშტაბით მოსახლეობის ინფორმირებულობის დონის ამაღლება ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე".

ქ. ბათუმში არსებული თავშესაფარი

თარიღი : 2011 წლის 16 03, ოთხშაბათი 01:47

ბათუმში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა თავშესაფარი 2006 წელს გაიხსა.

**14.**ვებ-გვერდზე არ არსებობს განყოფილება „პროგრამები“, სადაც მოყვანილი იქნებოდა იმ პროგრამების ჩამონათვალი და მათ შესრულების შესახებ (წლიური) მოხსენებები, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს ფონდი. აგრეთვე, სასურველია მოიძიებოდეს ცნობები იმ პროგრამების/პროექტების ფარგლებში მიმდინარე ღონისძიებების შესახებ, რომელთა რეალიზაციაში მონაწილე მხარეს წარმოადგენს ფონდი.

**15.** სასურველია ვებ-გვერდზე არსებობდეს (ქვე-)განყოფილებები ,,საერთაშორისო პარტნიორობა“ და „პარტნიორობა საქართველოს ორგანიზაციებთან“, სადაც მოყვანილი იქნება პარტნიორობის შესაბამისი ტექსტური ინფორმაციული აღწერა და ფონდის პარტნიორ ორგანიზაციათა ვებ-გვერდების ბმულები.

- **სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა**

**16.** სამართლებრივი აქტები განთავსებულია ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებებში, სათაურად „კანონმდებლობა“ და „იურიდიული ბაზა“:







სასურველია ვებ-გვერდზე შეიქმნას (ქვე-)განყოფილება სათაურად „კანონმდებლობა“ ან „სამართლებრივი აქტები“ სადაც თავმოყრილად იქნება წარმოდგენილი ზემოთ მოცემულ განყოფილებებში განთავსებული სამართლებრივი აქტები. ამასთან, სასურველია აღნიშნულ (ქვე-)განყოფილებაში განთავსდეს აგრეთვე, ფონდის საქმიანობის (მმართველობის) სფეროსთან დაკავშირებული საქართველოს მთავრობის აქტები და ფონდის დირექტორის მიერ გამოცემული

ინდივიდუალური ხასიათის ბრძანებები, აგრეთვე, სამართლებრივი აქტების პროექტები. სასურველია, აგრეთვე განთავსდეს ფონდის მიერ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა, აგრეთვე ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის მიზნით შემუშავებული ნორმატიული აქტების პროექტები.

ამასთან, სასურველია განცალკევებულ განყოფილებაში მოიძებოდეს ფონდის დებულება და აგრეთვე, ფონდისა და ფონდის სტრუქტურული ერთეულების -თავშესაფრების შინაგანაწესი.

სასურველია აღნიშნულ (ქვე-) განყოფილებაში აგრეთვე მოიძიებოდეს შემდეგი სამართლებრივი აქტებიც:

- საქართველოს კონსტიტუცია;
- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი.

- **საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას**

**17.** ვებ-გვერდზე არ მოიძიება ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მიმართვათა მიმოხილვა.

**18.** ვებ-გვერდზე არ არსებობს საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებული განცალკევებული განყოფილება. არ მოიძიება საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურის ვინაობის (სახელი და გვარი), თანამდებობისა და საკონტაქტო რეკვიზიტების შესახებ ინფორმაცია, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებათა გასაჩივრების შესახებ ცნობები და ფონდში შესული საჯარო ინფორმაციის გაცემასა და გაცემის მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია. აგრეთვე ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივრისა და საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის ჩამოსატვირთი ფორმები/ნიმუშები.

- **საჯარო დაწესებულების საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები**

**19.** ვებ-გვერდზე არ მოიძიება ადმინისტრაციულ ხელშეკრულებათა ბლოკი/განყოფილება, სადაც მოყვანილი იქნებოდა ფონდსა და ფიზიკურ/იურიდიულ პირებს შორის, აგრეთვე, ფონდსა და სხვა საჯარო დაწესებულებას შორის გაფორმებულ ადმინისტრაციულ (სამოქალაქო/სამართლებრივ) ხელშეკრულებათა ჩამონათვალი და პირობები.

**20.** ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე-)განყოფილება „ტენდერები“, სადაც განთავსდებოდა ფონდის მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა (გამოცხადებული ტენდერები, კონკურსები

და სხვა სახის სახელმწიფო შესყიდვები) და განხორციელებული სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) ამომწურავი ჩამონათვალი (სია) და ასევე, ფონდის მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა და სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) შესახებ ინფორმაცია. *(პროექტ **„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის" ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი"**, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდისათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა (გამოცხადებული ტენდერები, კონკურსები და სხვა სახის სახელმწიფო შესყიდვები) და განხორციელებული სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების , პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) ამომწურავი ჩამონათვალი (სია), რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის ფონდის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ გმულზე: http://www.opendata.ge/pdf_files/atipfund_shesyidvebi0001.pdf).*

- **საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა**

**21.** ვებ-გვერდზე არ არსებობს განყოფილება სათაურად „ვაკანსიები", სადაც განთავსდებოდა ვაკანსიათა არქივი, აგრეთვე საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის შედეგები (ფონდის მიერ კანდიდატთა პერსონალური მონაცემების ვებ-გვერდზე განთავსების საფუძვლებზე (თანხმობის მიღება) მითითებით, საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის პროცედურებისა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების წაყენების, მათი ადმინისტრაციული წარმოების გზით გასაჩივრების წესის აღწერა და ა.შ.

- **საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)**

**22.** ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი ფონდის საქმიანობასთან დაკავშირებული ფინანსური ხასიათის არანაირი ინფორმაცია:

- არ მოიძიება ფონდისათვის გამოყოფილი სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ყოველწლიური ასიგნებების შესახებ ინფორმაცია;

- არ მოიძიება ფონდის ბიუჯეტში ასახული შემოსავლებისა და გასავლების / ბიუჯეტის შესრულების ბალანსისა და ბიუჯეტის ასიგნებების ხარჯვის შესახებ ზოგადი ინფორმაცია; *(პროექტ **„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის"***

*ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი", ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდისათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) განხორციელებული სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნების ხარჯვის შესახებ ინფორმაცია (სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ბალანსი), რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის ფონდის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე: http://www.opendata.ge/pdf_files/atipfund_budget0001.pdf);*

- არ მოიძიება საჯარო სამსახურებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელი თანამდებობის პირთა ჩამონათვალი და საშტატო ერთეულზე გათვალისწინებული ფინანსური განაკვეთების შესახებ ინფორმაცია;

- არ მოიძიება ფონდის სრული სისტემის თანამშრომლებზე გაცემული ხელფასების, დანამატების და დარიცხული პრემიების წლიური ოდენობების შესახებ ინფორმაცია; *(პროექტ **„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის" ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი"**, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდისათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე), ადმინისტრაციისა და სრული სისტემის თანამშრომლებზე გაცემული ხელფასებისა და პრემიების საერთო კვარტალური ოდენობების შესახებ ინფორმაცია (კონკრეტულ პირთა ვინაობაზე მითითების გარეშე), რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის ფონდისმიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე: http://www.opendata.ge/pdf_files/atipfund_xelfasi0001.pdf);*

- არ მოიძიება ფონდის შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე ან/და საკუთარი ინიციატივით განხორციელებული იმ პროექტებისა და პროგრამების (სოციალური, მიზნობრივი, კვლევითი, სამეცნიერო, საგანმანათლებლო, ამა თუ იმ სფეროს განვითარებაზე მიმართული და მისთ.) სავარაუდო და ფაქტობრივი ხარჯთაღრიცხვა, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს ფონდი;

- არ მოიძიება უცხო სახელმწიფოთა მთავრობების, საერთაშორისო ორგანიზაციების, სხვა დონის სახელმწიფო ერთეულების მიერ ფონდისათვის გამოყოფილი ფინანსური დახმარების (გრანტები) ხარჯთაღრიცხვა.

*შეფასება ვებ-გვერდის ელექტრონული კომპონენტის მიხედვით:*




ვებ-გვერდის ელ-მმართველობის ხარისხი
ტექნიკური პარამეტრის არსებობა ვებ-გვერდზე
1. ნავიგაცია
66,67%
2. ძიება
40,00%
3. მარტივად აღქმის კრიტერიუმები
43,75%
4. საკონტაქტო ფორმები და წესები
0,00%
5. ვებ-კონტენტის ხელმისაწვდომობა
26,67%
6. ადაპტაცია მობილურ კავშირგაბმულობასთან WAP
0,00%
7. სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი
26,32%
8. ინტეგრაცია სოციალურ ქსელებთან
0,00%
9. ელექტრონული ჩართულობა
16,67%
10. ელექტრონული სერვისები
0,00%
11. უნარშეზღუდული მომხმარებლებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
0,00%
12. უსაფრთხოება
0,00%
13. დამატებითი მნიშვნელოვანი პარამეტრები
30,77%
0
0,1
0,2
0,3
0,4
0,5
0,6
0,7

- **ნავიგაცია**

ნავიგაცია შექმნილია პროგრამა Flash-ის დახმარებით, რაც რთულად ასათვისებელია საძიებო სისტემებისთვის:

- **ძიება**

დეტალური ძიების მოდული არ მუშაობს:

- **მარტივად აღქმის კრიტერიუმები**

ვებ-გვერდში გამოყენებული ტექსტი ზოგ ადგილას გაუგებარია და რთულია მისი აღქმა:



## ➢ საკონტაქტო ფორმები და წესები

საკონტაქტო ელ.ფოსტა შექმნილია google-ის ელექტრონულ სისტემა Gmail-ზე:




საჯარო დაწესებულების ოფიციალური ელ.ფოსტა აუცილებლად უნდა იყოს მიბმული ვებ-გვერდის დომენზე (მისამართზე) და მისი ფორმატი უნდა იყოს შემდეგნაირი: info@antifund.gov.ge

## ➢ ვებ-კონტენტის ხელმისაწვდომობა

ზოგიერთ გვერდზე მაგალითად (მაგ: http://atipfund.gov.ge/navnews.aspx) შეუძლებელია ტექსტის წაკითხვა:



ვებ-გვერდის რუსულ ვერსიაში არსებობს ცარიელი გვერდები:




სადაც აუცილებლად უნდა დაიწეროს, რომ გვერდი მზადების პროცესშია;

ვებ-გვერდის ინგლისური ვერსიის პირველი საპრეზენტაციო გვერდი აბსოლუტურად ცარიელია, რაც საკმაოდ ცუდ შთაბეჭდილებას ქმნის ვებ-გვერდზე:




- **სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი**

ვებ-გვერდის სიახლეების გადასასვლელი ღილაკები, მაგალითად ბრაუზერ FIREFOX-ში არ მუშაობს:



ვებ-გვერდის ინგლისურ ვერსიაში ჩანს ქართული მენიუ:




ვებ-გვერდის ყველა გვერდის გაზიარება და გავრცელება სოციალურ ქსელებში შეუძლებელია, რადგან მისი პარამეტრები არ ინახება GET მეთოდში, რაც ნიშნავს, იმას, რომ თუ მომხმარებელმა რომელიმე სიახლე გაუგზავნა თავის მეგობარს ბმულის მეშვეობით, მიმღები ვერ ნახავს სიახლეს:



ასევე ეს პრობლემა არსებობს საძიებო სისტემებში, სადაც აღნიშნული ხარვეზის გამო რთულდება ინდექსაცია.

- **ინტეგრაცია სოციალურ ქსელებთან**

ვებ-გვერდის "Fan page"-ი არ მოიძებნა არც-ერთ მნიშვნელოვან სოციალურ ქსელში;

## ვებ-გვერდის ზოგადი შეფასება

ვებ-გვერდი აწყობილია ASP.NET-ში. აწყობის სქემა და სტრუქტურა არ იძლევა საშუალებას, რომ მომხმარებელმა და საძიებო სისტემებმა სრულად აითვისონ ვებ-გვერდი. ხარვეზების გარდა, ვებ-გვერდზე არ მოქმეედებს ისეთი მნიშვნელოვანი მოდულები, როგორიც არის დეტალური ძიება, ონლაინ სერვისები, ინტეგრაცია სოციალურ ქსელებში და სხვა.